№ 130

სამშაბათი, 21 ივნისი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 130

სამშაბათი, 21 ივნისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი

ანნა დავითის ასული გაბაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თავისის მამიდისას, **მარიამ სიმონის ასულის ფონტუზერისას**, სთხოვს მობრძანდნენ სამშაბათს, ამ თვის 21-ს, დილის 9 საათზედ, წყნეთის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საიდგანაც მიცვალებულის გვამი წასვენებულ იქმნება ვერის სასაფლაოს წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. (1—1399—1)

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი"
(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—18)

„ივერიის" რედაქციისაგან:

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

შავის-ქვის მრეწველთა კრების გარდაწყვეტილებისამებრ, რომელიც 16 ამა ივნისს მოხდა, უმორჩილესად სთხოვენ შორაპნის მაზრის ყველა

მრეწველებს შავის-ქვისას

მობრძანდნენ შაბათს ამა ივნისის 25 სოფ. ჭიათურას, რომ ამოირჩიონ ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტის სამი წევრი და სამი მათი კანდიდატი. (1—1397—1)

დეპეშა

18 ივნისი

პეტერბურგი. კელეცკის გუბერნია აზიის ხოლერის მხრივ გამოცხადებულია არა-საიმედო ადგილად.

მარსელი. გამომჟღავნებულია შეთქმულობა კარნოს წინააღმდეგ; პოლიციამ მიაგნო შეთქმულთა კვალს, რომელთაც უკანასკნელი კრება სეტში ჰქონიათ და აქა ჰრგებია კაზერიოს წილის ყრით კარნოს მოკვლა. ბევრნი იქმნებიან დაპატიმრებულნი.

პარიზი. მარსელიდგან დაწვრილებით იცნობებიან ამბავს კარნოს წინააღმდეგ შემდგარ შეთქმულობასას. ჯარის კაცმა, რომელიც ამ ჟამად სამხედრო საპატიმროში იმყოფება, უამბო ტუსაღებს და შემდეგ სასამართლოს უწყების მოხელეებს, რომ შვიდმა ანარქისტმა სეტში კარნოს სიკვდილი გადასწყვიტა ვალიანისა და ჰანრის სიკვდილით დასჯისათვის; წილი ერგო კაზერიოს და იგი ლიონში წავიდა, რომ კარნო ხანჯლით მოეკლა. ჯარის-კაცმა სახელდობრივ დაასახელა სამი შეთქმული, რომელნიც ან უკვე დაპატიმრებულნია რიან, ან ჩქარა იქმნებინ დაპატიმრებულნი.

ლიონი. კაზერიომ ცოტ-ცოტა ენა ამოიდგა, აღელვებისაგან დამშვიდდა და გუშინ გამოაშკარავებინეს ის საერთაშორისო შეთქმულობა, რომლის გარდაწყვეტილებაც მან შეასრულა.

19 ივნისი

პეტერბურგი. წესები აფიცართა შორის მომხდარ უსიამოვნებისა და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაირჩეს იმათი ბრძოლა, შემოღებულია ჯეროვანის ცვლილებით, ზღვათა. უწყებაში მოსამსახურეებისათვისაც.

პარიზი. აქ მოვიდა გენერალ-ადიუნტანტი ობრუჩევი კარნოს გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად.

10 საათზედ კუბო, რომელშიაც ესვენა კარნოს გვამი, დასდგეს ელისეის სასახლის უმთავრესს ეზოში; დილის 3 საათზედ ყველა ქუჩები ელისეის სასახლიდგან მოკიდებული ნოტარ-დამამდე ხალხით იყო სავსე და რიცხვი ხალხისა თანდათან ჰმატულობდა; თანხმობის მოედანი და ოტელი დე ვილი ივსება ხალხით; ხალხი თავ-დაჭერით არის.

◆◆

ახალი ამბავი

⁂ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 21 ივნისს, კათოლიკეთა ეკლესიაში, რომელიც შუაბაზარშია, გადახდილ იქმნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სადი-კარნოს სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზედ; ამ პანაშვიდზედ დასწრება შეიძლება ჩვეულებრივის ტანისამოსით, ხოლო გენერლები-კი ლენტებით უნდა იყვნენ.

⁂ 20 ამა თვისას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობით გასასყიდათ 12 ქალაქის მამული, ამათში გაიყიდა 9 მამ. დარჩა ხელმეორედ გასასყიდად, ორი კვირის შემდეგ,—3 მამული.

⁂ კვირას, 19 ივნისს, საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წევრთა, რომელთაც უნდა აერჩიათ: 1, გამგეობის დირექტორის კანდიდატი, 2, სარევიზიო კომისიის წევ-

---

ფელეტონი

ელენე

(დასასრული*)

V

როცა, ქორწილის მეორე დღეს, ელენე გამოვიდა—სტუმრები უკვე შეგროვილიყვნენ, ყველას მიესალამა, ყველა მოესალამა, ყველამ დალოცა, მაგრამ ელენემ გუნებაში ყველა შეაჩვენა!.. ცოტა ხნის შემდეგ ელენემ გულზე დაიხედა და ნახა, რომ მისი იის თაიგული დამჭკნარიყო და ფურცლები ნაღვლიანად ჩამოჰკიდებოდნენ.

„ერთგულა გულს", იფიქრა ელენემ,—„სანამ გული ცოცხალი იყო—იაც ჰხარობდა და როცა გული მოკვდა—მოკვდა ნაზი იაც"... მაშინვე გულიდამ მოიხსნა და როგორც მოწმე თავისის უმანკოებისა, ჩადვა პატარა წიგნაკში, რომელსაც თავის ხელით დააწერა: „ჩემი თავგადასავალი". „დეე, იცოცხლოს ამ იამ მანამდის, სანამ ამ ჩემს ალსარებას არ გარდაიკითხვენ; ამცნოს გარდამკითხველს ჩემი გულის პასუხი; ამცნოს მიზეზი ჩემის ადრე დაჭკნობისა! შემდეგ თუ გინდ ფურცელ-ფურცლად დაცვინდეს, დაიფანტოს, გაჰქრეს"!.. გაიფიქრა ელენემ და თვალცრემლიანმა ჩუმად ის უამბორა...

VI

ქორწილი, ლხინი, დროს გატარება, თითქმის, ერთს კვირას არ გათავებულა. ბოლოს, როგორც იყო, ყოველივე ამას დასასრული მიეცა, ყოველივე მიწყდა, მიჩუმდა, გარდა ელენეს გულისა, რომელსაც დღითი დღე ტანჯვა და მწუხარება ემატებოდა... ორი კვირაც არ გასულა ქორწილის შემდეგ, ახლად ჯვარ-დაწერილები რომ ტფილისისაკენ გაეშურნენ ჯან-მრთელობის მოსაპოებლად.. და აი, გადის რვა წელიწადი, რომ, არამც თუ ჯან-მრთელობა ვერ მოიპოვა ელენემ, არამედ მისი ჯანი, მისი სიცოცხლე ყოველ დღე უარ და უარ მიდის, მიიპარება!..

უჰ, რასა ჰგავს! შესახედავად შესაზარია! ოცდა-ხუთის წლის ლამაზი ელენე სამოცი წლის მახინჯს დაემსგავსა!.. წინა კბილები ჩასცვინდნენ, დანარჩენი ჩაუშავდნენ, გოგირდივით ჩამოყვითლდა; ძალ-ღონე სრულიად გამოელია; ხალისი და სიამე აღარ ეკარება; თვალებში ჩაუქრა ის ცეცხლი, რომელიც ამ რვა-ცხრა წლის წინად ყოველივე სიმშვენიერის უარმყოფელს, ზნე-დაცემულ ადამიანსაც-კი შეჰბოჭავდა, დაიმონებდა და სასოებით თაყვანს აცემიებდა უმანკოებისათვის!.. ახლა მის მაგიერად მათ დაეპატრონა ის გულ-საკლავი ყინვა, რომელშიაც ცხოვრებისადმი იხატება გულ-გრილობა და ადამიანისადმი საყვედური, ზიზღი და შეჩვენება!..

VII

კიდევ განვლო ორმა წელიწადმა—ელენესათვის მთელმა ვაების საუკუნემ!.. ელენე ცხრა, თუ ათი თვეა, ქვეშაგებიდამ აღარ ამდგარა!.. ამ დილით-კი, ვითომ, ცოტა უკეთობასა ჰგრძნობს... გუშინ ორ საათზედ ექიმი მოვიდა და მთელი საათი დარჩა ელენესთან; მორჩენის იმედს აძლევდა მას... ძალიან კარგი კაცია ელენეს ექიმი პავლე! მისი ტკბილი საუბარი, მისი ყურადღება, მოვლა, დაუზარებლად ყოველ დროზედ ავადმყოფის ნახვა—თვალსაჩინოდ განარჩევს მას სხვა, ახლანდელ ექიმებისაგან.. მეტის-მეტად სცდილობს კეთილი ექიმი—ელენეს მოეხმაროს, მაგრამ ფუჭია მისი სურვილი, მისი ცდა—ელენეს ბედი გადაჭრილია: ელენე აღარ მორჩება!.. „საშინელია სიკვდილი, საშინელი!—ჰფიქრობდა ელენე—საშინლად მეშინიან სამარის, მისი საიდუმლო მყუდროების, სიბნელის!.. მაგრამ რომ აღარც სიცოცხლე მინდა? ცხოვრებაც რომ მომძულდა, დავსწევლე და შევაჩვენე!.. არა, სტყუი, ელენევ, სიცოცხლე-კი გინდა და გენატრება, მაგრამ ის დიდი ხანია დაჰკარგე, შე ბედ-შავო, დიდი ხანია აღარ სცოცხლებ! ჰო, იმისთანა სიცოცხლე-კი გინდა, როცა მშვენივრ ელენეს გეძახდნენ, შემოგნატროდნენ, მაგრამ ეს უპრალო სურვილია, უბრალო ნატვრა: მკვდრეთით აღდგენა მხოლოდ ქრისტეს შეეძლო!.. დღევანდელს ჩემს სიცოცხლეს-კი სამარე მირჩევნია... არა, სამარის მეშინიან! მეშინიან, მაგრამ, ვიმეორებ, სიცოცხლეც მომძულდა, აღარ მინდა!.. აბა, რომელი: შიში, თუ მძულვარება? სიკვდილი, თუ განაწამები სიცოცხლე? არ ვიცი რა ვქნა, რომელი ვარჩიო!.." ამ მწარე სარჩევში იყო ელენე. როცა გუშინ ექიმი სასტუმროთან უჯდა და ანუგეშებდა. სამსონი ამ დროს ელენეს ფეხით უდგა და ხელებ მოჭდობილი, გამშრალი, გაყვითლებული თავზედ დასჩერებოდა!.. ექიმის ნუგეშმა და ალერსმა ელენეს ოცნება გამოუფხიზლა და ძველებურად, იმედნეულად გაინავარდა; მისმა დაღალულმა გულმა, თითქო, კიდევ შესძლო სიამის გრძნობა.. ამასობაში ელენეს ჩაეთვლემა, ბურანში წავიდა... ექიმმა მაჯა გაუსინჯა და აღშფოთებულ სამსონს იმედი მისცა—არა უშავს-რა, დაეძინაო... ელენეს არ ეძინა, ყველაფერს ჰგრძნობდა.

—ნუ დამიფარავ, ექიმო, უთხრა ხმა დაბლა, სიფრთხილით სამსონმა—გაფიცებთ პატიოსნებას მითხრათ: ჩემს ელენეს აღარა ეშველება-რა?

ექიმმა პასუხი არ გასცა, ჩამოვარდა სიჩუმე.

—მაშ ეგ არის რაღა! იმედი გარდაწყვეტილია? იკითხა კიდევ სამსონმა.

—მორჩენა ღმერთზედ არის დამოკიდებული, მხოლოდ...

—ჰო, რა მხოლოდ? მითხარი ექიმო! იქნება რამე საშველება იყოს—და ნუ დამზოგავ! დამაწინდე გამყიდე, ოღონდ ჩემი ელენე გიდამირჩინე.

—სიკვდილად მიმაჩნია, ბ. სამსონ, ამ გვარი გულ-ახსნილი პასუხი, მაგრამ უნდა გატეხილი გითხრათ: ელენეს მორჩენა შეუძლებელია!.. მხოლოდ იქნება დიდის მეცადინეობის, სიფრთხილის შეწევნობით, ერთს წელიწადს კიდევ იცოცხლოს... ამაში თითქოს, დარწმუნებულიცა ვარ, რომ ერთს წელიწადს იცოცხლებს... მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ, რომ ტკივილები დღითი-დღე გაუძლიერდება, მეტადრე დღეის იქით, როცა ზამთარი მოვა; ტკივილები უფრო შეაწუ-

---

*) იხ. „ივერია", № 127.

რნი, 3, გამგეობის წევრთა კანდიდატები და 4, წევრნი ზედამხედველის კომიტეტისა.

გამგეობის დირექტორის და გამგეობის წევრთა კანდიდატობისაგან ყველამ უარი განაცხადა.

სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქმნენ: ნ. კ. მასალსკი, ი. ა. ტერ-აკოფოვი და ი. ს. ბუღდანოვ-ბაღდასაროვი.

რადგან ზედამხედველის კომიტეტის წევრად მხოლოდ ერთი წევრი, ხ. ა. ვერმიშევი იქმნა არჩეული, პ. ა. იზმაილოვმა სთხოვა კრებას: «როგორც მოგეხსენებათ, კ. მ. ალიხანოვი, წევრი ზედამხედველის კომიტეტისა, თავს ანებებს თავის თანამდებობას, მაგრამ კრებას, როგორც ეტყობა, სურვილი აქვს, რომ იგი ისევე დარჩეს ამ თანამდებობაზედ, ამიტომ დაავალეთ თავმჯდომარეს თქვენი სურვილი გადასცეს ბ-ნს ალიხანოვს და რომ ეს თხოვნა თქვენგან ნაძალადევი არავის ეგონოს, კენჭი უყარეთ ბ-ნს ალიხანოვს, რასაც თითონაც მოითხოვდა, აქ რომ დასწრებოდაო».

კრებამ ერთხმად გამოაცხადა სურვილი ალიხანოვის უკენჭოდ არჩევისა, მაგრამ ყუთი მაინც დაუდგეს და ბ-ნმა ალიხანოვმა მიიღო 36 თ. და 4 შ. კენჭი.

⁂ კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ მომავალ აგვისტოში გამართული იქნება ლატარეია-ალეგრი. ვისაც სურს შემწეობა აღმოუჩინოს ამ საქმეს, შემოწირულება შეიძლება გაუგზავნოს კავკავში ტ. კახიძეს.

⁂ სოხუმიდან გვატყობინებენ: წელს, როგორც ზაფხულში, ისე ზამთარშიაც ცოტა ავადმყოფები გვესტუმრნენ კურორტზედო, მაგრამ ამისი მიზეზია უხეირო სადგომები და სანოვაგის სიძვირეა.

⁂ წარსულ პარასკევის საბჭოს კრებაზედ, სხვათა შორის, ქალაქის სათადარიგო დამფასებლად ამორჩეულ იქმნა გ. მ. მერაბოვი და იმის კანდიდატად—ჩიმიშკიანი.

⁂ ამიერ კავკასიის მთავარმართებლისათვის წარუდგენიათ საჩივარი, რომ უკანონოაო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის არჩევანი. („Н. О.“).

გაზ. „Новое Время“ ამბობს, რომ მთავრობას განსახილველად წარუდგინეს პროექტი ახალის ამხანაგობისა, რომელსაც განზრახვა აქვს დააარსოს ზაფრანის პლანტაციები კავკასიაში ბაქოს მახლობლადაო.

⁂ ბაქოდგან დეპეშა მოსვლია გაზეთ „მშაკს“, რომ ბაგატუროვს, რომელმაც მოჰკლა გიმნაზიის მოწაფე ქალი გლასბერგიი, სამხედრო ოლქის სასამართლომ დარჩობა გადაუწყვიტაო.

⁂ სტეფან-წმინდა: 4 ივნისს აქ მოვიდა ინსპექტორი მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სასწავლებლებისა არხიმანდრიტი მ. ლეონიდი, გამოსაძიებლად აქაურ მასწავლებლის უწესოებისა, რომელიც მოთხრობილი იყო „ივერიის“ მე-73 №-ში. ეს უწესოება ის არის, რომ ზოგიერთ შეძლებულ ოჯახიდგან ორი და სამი ყმაწვილი სწავლობს და ზოგ საწყალ და ღარიბ ოჯახიდგან-კი არც ერთიო; ამას გარდა, გადმოატანინა კახეთიდგან ღვინო და შიგ სასწავლებელში დაიწყო ღვინით ვაჭრობაო. ეს ამბავი გამოიძია მ. ლეონიდმა და ყოველივე დასაბუთებულ იქმნა ადგილობრივ მამასახლისის შადურის-მიერ.

⁂ სოფ. ნუკრიანი: ნუკრიანელები ქ. სიღნაღზედ არიან მიწერილები და მოქალაქეებადაც ითვლებიან. ამავე სოფელში სცხოვრობს სიღნაღის ბოქაულის ერთი თანაშემწე. შუა სოფელზედ საფოსტო გზა-ტკეცილი ჩადის, ხოლო ჩრდილოეთით, სოფლის ნაპირას, ძველი გზაა, სადაც წინად ფოსტა და ეტლები დადიოდნენ, მაგრამ ეხლაც მაინც ამ გზაზედ უფრო მომეტებული ხალხი და ურმები დადის როგორც ნუკრიანელებისა, ისე ზემო სოფლებიდგან სიღნაღში მიმავალი, რადგან ამ გზით უფრო მოკლედ ჩადის მგზავრი სიღნაღში. აი ამ გზის გვერდზე ჩაყოლებულია საავგურეები. ეს დალოცვილი მეაგურეები მისდგომიან და ძირს უთხრიან ამ გზას, ასე რომ, თუ ადგილობრივმა პოლიციამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ამ საქმეს, ახლო მომავალში, ამ გზით სიარული შეუძლებელი გახდება და თვით შენობებსაც, რომლებიც გამწკრივებულია ამ გზის სიგრძეზედ, ძირი გამოეთხრება და დაინგრევა.

⁂ 19 ივნისს ზაქარია მამულოვმა ნიკოლოზის მოედანზედ, ორის წლის ქალს მარიამ სარქისოვს ოქროს ორი საყურე ააგლიჯა ყურებიდგან და გაიქცა, მაგრამ პოლიციელმა კოკორინმა მოასწრო და დამნაშავე შეიპყრო.

⁂ ამავე დღეს როგოზინმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ მადათოვის კუნძულზედ ვიღაც კაცს ჩემი ნავთის საწყობის კანტორის გაქურდვა უნდოდა, ჩვენის სახლის ასასმა შეიპყრო, მაგრამ ისევ გაექცაო.

⁂ ამავე დღეს მუშტაიდის ბაღთან ჯიბგირმა არშაკ ეირანოვმა ისაკ ეირანოვს ჯიბიდგან ქისით 1 მან. და 70 კ. ამოაცალა. დამნაშავე იქვე შეიპყრეს.

ნაწყვეტები

ვაიმე, ჩვენსა გმირობას
ლეჩაქი დაუხურია,
აღარსად ისმის ერთობის
ხმა და გაფიცვა ძმურია;
კისერზედ წამოგვჯდომია
წუნკალა ძაღლი მურია,
საითაც უნდა, მიგვათრევს,
გვაწვალებს, როგორც ურია...

დ. მაჩხანელი

კორესპონდენცია

ქ. სოხუმი, 12 ივანობისთვეს. მწერალი ერის შვილია, იგი ეკუთვნის საზოგადოდ ყველას და კერძოდ იმ ერს, რომელშიაც იგი დაბადებულა. ამიტომაც ყველა წევრი საზოგადოებისა ვალდებულია ჭირშიაც და ლხინშიაც თავისი მწერლის შემწე და დამხმარებელი იყოს. ამ ბოლოს დროს ეს ჭეშმარიტება გვარიანად შეიგნო. მართალია ბევრი ჩვენი საუკეთესო მწერალი სიცოცხლეში ულუკმა-პუროდ იტანჯებოდა, მაგრამ სიკვდილის შემდეგ-კი ღირსეული პატივი მიიღეს. ამ ოცი-ოც-და-ათის წლის წინად თვით რუსთაველიც რომ მომკვდარიყო, მაინც არავინ ყურს არ გააპარტყუნებდა. არა თუ ახალ-ბაიაზეთში, თვით ჩვენ დედა-ქალაქს ტფილისშიაც პანაშვიდს არავინ გადაიხდიდა. დღეს არა თუ ქალაქები და დაბები, სოფლებიც-კი თვალ-ყურს ადევნებენ ჩვენის ქვეყნის ავანჩავანს. ეს მოვლენა ძლიერ სასიამოვნოა და ღმერთმაც ჰქნას თანდათან გაძლიერებულიყოს, ასე, რომ არა თუ მარტო სიკვდილის შემდეგ გვეცეს პატივი ჩვენ საზოგადო შვილთა და მოღვაწეთათვის, არამედ სიცოცხლეშიაც.

დღეს ე. ი. 12 ივანობისთვისას ჩვენ სოხუმში მცხოვრებნი ქართველნი დიდი და პატარანი შევიკრიბენით აქაურ საკათედრო სობოროში და შევავედრეთ ყოვლის შემძლებელს ღმერთს, სული ახლად გარდაცვალებულის ჩვენის ცხოვრების ახლანდელი დროის სურათების მხატვრის ახალგაზდა ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილისა. პანაშვიდი გარდაიხადა ჩვენმა პატივცემულმა მოხუცმა მამა დეკანოზმა დავ. მაჭავარიანმა. ამასთან ისიც უნდა დავძინოთ, რომ ქართულის წიგნის უქონლობის გამო მამა დეკანოზმა მიიღო შრომა და მთელი დიდი პანაშვიდი ქართულად გადათარგმნა.

პანაშვიდის შემდეგ აქ დამსწრეთ ჩამოაგდეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ როგორმე სახსოვრად განსვენებულის ნინოშვილისა რაიმე საქველმოქმედო საქმე მოაგვარონ. სხვათა შორის დაასკვნეს ის, რომ სთხოვონ განსვენებულის მემკვიდრეთ, რათა ნება მისცენ სოხუმელ ქართველებს, რომელიმე მოთხრობა ეგნატესი გამოსცენ იმ პირობით, რომ ექვსასი ეგზემპლიარი ამ გამოცემისა მუქთად დაურიგდეს სახალხო სკოლებს და სამკითხველოებს რამდენიმე ცალი, ხოლო ექვსასი ეგზემპლიარი გაიყიდოს და შემოსული ფული მიეცეს განსვენებულის ძმის შვილს, რომელიც სწავლობს ამ ჟამად. თუ, ვინიცობაა, მემკვიდრეებმა ნება არ მოგვცენ მაშინ, მაინც გვინდა შევაგროვოთ ფულები და გამოვცეთ რაიმე წიგნი ან მეურნეობის შესახებ და ან ბუნების-მეტყველების შესახებ და დავაწეროთ „ეგ. ნინოშვილის“ სახსოვრად. შემდეგ ზოგს სკოლებს და სამკითხველოებს დავურიგებთ მუქთად, ზოგს გავასაღებთ და კიდევ გამოვსცემთ სხვა წიგნს, თუ ფული დაგვაკლდა, შევავსებთ ჩვენისავე ფულით.

გადაღმელი

კახეთი, 12 ივნისი. „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო“, სწორედ ჩვენზედ ზედ გამოჭრილია, ჩვენზედ, კახელებზედ. ვინ არ გინდა, რომ ჩვენ არ გვატყუილებდეს და რა იქნება ისეთი—ჩვენში არ მოხდეს, არ მოხდეს ისეთი, რასაც სხვა კუთხეში ადგილი არა აქვს. მაგალითებისთვის შორს არ წავალ. ავიღოთ თუ გინდა, ჯერ პირველად შემდეგი ამბავი: კახეთში—მეტადრე ალაზნის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფლებში—დიდის ხნიდან გავრცელებულია მეაბრეშუმეობა, რომელსაც ხელს უწყობს თუთის ხის სიმრავლე და ჰაერის ზომიერება. ერთმა ვიღაც უცხო კაცმა ჩასჭიდა ამ საქმეს ხელი და მის მატყუარობას და ხალხის ძარცვას საზღვარი აღარა აქვს. ეს ორი წელიწადია, ყოველ გაზაფხულზე მოდის აქაურ

ხებს, გააწამებს...

ამ პასუხზე სამსონი გაფითრდა, მამაკვდავის ოფლმა გადმოურბინა...

— მაინც იარეთ, ექიმო, იარეთ? იქნება ღმერთი შეგვეწიოს და...

— ბატონი ბრძანებით...

ექიმი ჩემად გამოესალმა სამსონს და ფეხს აკრებით გაკიდა ოთახიდამ.. სამსონმა გაყვითლებულს და დასნეულებულს, მაგრამ მადლიანს და სანდომიანს ელენეს სახეს თვალები გარდაავლო, თავისი დაბადების დღე და ხასიათი დასწყევლა, სანდრო დაჰგმო და შეაჩვენა და როგორც გიჟი ელენეს ოთახიდამ გავარდა... ელენემ ყველაფერი გაიგონა; ექიმის სიტყვები, მისი განაჩენი სისხლის ცრემლებით დაეწერა გულის ფიცარზედ...

VIII

ელენემ თავის თავ გარდასავალის წერა დაასრულა; სანთელი გააქრობინა თავის ოთახში და ის სარკმელი გააღებინა, სიდგანაც მთვარე მხიარულად იყურებოდა და სხივებს აფრქვევდა; გრილს ჰაერს, სარკმლიდამ შემოსულს ბაგენი მიუშვირა, თითქო, ამოდენი ხნის ტანჯვებით შეხუთულს წმინდა ჰაერით და მთვარის სხივებით ჰსურდა განკურნულიყო..! “რა მშვენიერი ღამეა..! — ჰფიქრობდა ელენე — რა ნეტარებით სძინავს მთელს ქვეყანას და მე-კი ვიწვა, ვიტანჯები!.. ღმერთო დაჰკელოცა განგება და სამართალი!.. მაგრამ ნუ გეშინიან, განაგრძო მწარე ფიქრები ელენემ,—შენც მალე დაიძინებ მშვიდობიანად!.. აი, ვარსკვლავი როგორ მოწყდა... კიდეც გაჰქრა!.. ჰო ის ჩემი ვარსკვლავია... საბრალოვ!.. არც-კი შეუმჩნევია ვისმე შენი გაჰქრობა.. თვით ვარსკვლავებსაც-კი არავითარი დანაკლისი არ უგვრძნიათ შენის მოცილებით: ყველანი ისევ-ისე კაშკაშებენ, მხიარულობენ; ისევ-ისე დასტრფიან თავზე მიძინებელ სამყაროს; ისევ-ისე ეალერსებიან მთვარის ნაზს სხივებს... ყველაფერი ისევ-ისეა და ისეც დარჩება!... ყველაფერი ისევ-ისე დარჩება ჩემს გარდა მე—კი... მაგრამ მე ეს არც მაშინებს და არც მაწუხებს; მე აღარც სანაღვლელი მაქვს რამე და არც სანატრელი!.. სანატრელი. არა, სანატრელ კიდევ დამრჩა.. მე მინდა, რომ როდესაც მთვარე ამ თვის ლამაზს სხივებს აკრებს, მაშინ ზედ გამოაბას მათ ჩემი დატანჯული სული, რომ ამ გვარად აღარ ვნახო განთიადი, მისი მშვენიერება!. აღარ მინდა ვნახო ის მნათობი, რომელიც, იქნება, ყოველს ტანჯულს ნუგეშსა სცემს, ძალ-ღონეს ჰმატებს, მაგრამ მე-კი სულ თან-და-თან წამებას მიზრდის და გაჩენის დღეს მაწყევლინებს! აღარ მინდა ვიხილო ის მნათობი, რომლის სხივიც წინასწარელჩად მოვიდა ჩემთან იმ დილაზედ, ყურში ჩამჩურჩულა ჩემი უბედურება და შემდეგ მე თვით მოწმად გამხადა სანდროს იმ სულ მდაბალი აზრისა, რომელიც სამსონთან საუბრის დროს გამოსთქვა!.. აღარ მინდა ვიხილო მზე!..

IX

მე უბრძანე, რომ ჩემს ოთახში ხვალ დილამდის არავინ შემოვიდეს... სულ ათი წუთი არ იქნება მას შემდეგ, რაც მე ქეზაფი დავლიე!..ცხვირიდამ ბოლი გამომივიდა, ცრემლები ღელესავით გადმომედინა და ცოტა ხანს გონი დავკარგე... ახლა ისევ ისე გონზე მოვედი... ცეცხლი მეკიდება... ცეცხლი მეკიდება, მაგრამ არ ვიტანჯები! ცეცხლი ვერ გააკვირებს ჩემს გულს, ვერც დასწვავს—ის ქურასავით გამომწვარია... წინად სიკვდილის მეშინოდა, ვერიდებოდი; ახლა-კი სიკვდილი მიხარია... კარგია სამარე—იქ მოვისვენებ! რა უყოთ მერე, რომ ჭია-ღუა დამიღრღნის ძვლებს? მაგიერად სევდა, ნაღველი და ტანჯვა დაწუხარდებიან, მომშორდებიან... მოვისვენებ!.. ვიშ, საყვარელო, რა კარგია მოსვენება! მაშ მოდი სიკვდილო, ნუღარ გვიანობ!.. მოისვენებს საცოდავი სამსონიც... ის კარგი კაცია, გულკეთილი და პატიოსანი; მხოლოდ სუსტი ხასიათისაა! მაგრამ ეგ თვითონვე აღიარა... ერიდებოდა თავისს ხასიათს... არ დააყენა სატანამ, შეუჩნდა, შეაცდინა... არა, ის არ არის დანაშაული!.. რა გვარად მივლიდა, მემსახურებოდა, როგორც კეთილი მამა, თავზედ მევლებოდა; რამდენი არ დახარჯა, რა არ ჩაიდინა, მაგრამ არა ეშველა-რა... განა ის-კი არა გრძნობდა, რომ მე სულ სხვა მიყვარდა, სხვას ვსასოებდი და იმ სხვაში ვეძიებდი სულის და გულის განკურნებას, ხელახლად აჰყვავებას? განა არ იცოდა, რომ ეს სხვისადმი სიყვარული ვერც ქორწინებამ, ვერც დრომ, ვერც სიცოცხლის გაწამებამ ვერ ამოფხვრეს ჩემს გულში; პირ-იქით, რამოდენად ჩემი სნეულება, ჩემი ტანჯვა და მწუხარება იზრდებოდა, იმოდენად სიყვარული, მისი მომხიბლველი, ჯადოსნური არსება მატოლობდა, ძლიერებოდა!.. და თუ აქამდისინ ამოდენმა ვაებამ სამარეში არ ჩამიტანა,—ეს მისათვის, რომ აღფრთოვანებულმა სიყვარულმა თავისი ძალუმი მავთულები ჩამაბა და ტრფობის ტაძარისაკენ გამსწია... ახლა მე თვით გავსჭერი ეს მავთულები და წამებას მივსდევ სამარეში!..

ამას ყოველივეს ჰგრძნობდა სამსონ, მაგრამ მისი ჩემდამო სიყვარული, თავაზი, მზრუნველობა და პატივისცემა დღითი-დღე ჰღვივოდა... იყავ ბედნიერი ჩემო კეთილო სამსონ, შენ არა ხარ დანაშაული!.. დანაშაული ის არის, ის, ის იუდა ისკარიოტელი, ქრისტეს და პატიოსნების გამსყიდველი!.. დანაშაულია და არ ისჯება! მაგრამ რას ვამბობ?!. განა სასჯელი მართლა დანაშაულთათვის არსებობს? არა! სასჯელი ახლა მათთვის არის,ვინც „გზასა სიმართლისასა“ დასდგომია, ვინც უსირცხვილობას ფარხმლად არა ხმარობს... მაგრამ, არა! დანაშაული მე ვარ, მე ვარ ჩემის თავის მკვლელი! დანაშაული ვარ და—კიდევაც ვისჯები!.. რად დავთანხმდი, რად ავჩქარდი? რად დავივიწყე წმინდა გრძნობა სიყვარულისა? რად გავჩერდი ერთს დღეს, ერთს წუთს, ერთს წამს იუდას ოჯახში? რად დავბრმავდი სულელურის თავმოყვარეობის წინ? რად გადვიქეცი მჩვრად, რად დავკარგე ადამიანური ძალი, მოსაზრება, ნიჭი და სულის უფლება?!. მთელი ჩემი სიცოცხლე კარის-კარ მეთრია, მეგლახაკნა, და უმანკოება, ღირსება, ჯან-მრთელობა-კი დამეცვა, დამეფარა!.. მაგრამ ახლა... ახლა გვიანღა არის! სიკვდილის შემდეგ სინანული ფუჭია“... აქ ელენეს უკანა-

სოფლებში (ალაზნის მარცხენა მხარეს) და გლეხებს აბრეშუმის ჭიის თესლს ურიგებს იმ პირობით, რომ გამოსავლის $^1/_3$—$^1/_2$ მისი იყვეს. მაგრამ ამას ვინ ჩივის, რომ ჩვენის ნაშრომის ზოგან ნახევარი და ზოგან მესამედი მიაქვს; ჩვენი უბედურება ისაა, რომ ერთობ ცუდ თესლს არიგებს და ამით სულ ხელ-ცარიელები ვრჩებით. წარსულ წლებში კიდევ არა უშავდა-რა, მაგრამ წელს თქვენს მტერს ისე, როგორც ჩვენ მშრალზე დავრჩით, შრომის მეასედიც არ გამოგვსვლია. ამ ოცის დღის წინათ ტფილისის საბრეშუმო სადგურის მოხელე, ბ-ნ გარბაჩოვი, იყო აქ, რომელმაც ბევრს ოჯახში დაათვალიერა აბრეშუმის ჭია და სთქვა, რომ ჭია დაავადმყოფებულიაო, რის მიზეზადაც თესლის სიცუდე დაასახელა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ გარემოებას მიაქცევენ ყურადღებას, ვისაგანაც ჯერ არს და ხალხის მატყუარა ვაჭარს პასუხის გებაში მისცემენ. თუ არ ვცდებით, ეს ტფილისის საბრეშუმო სადგურის ადმინისტრაციის მოვალეობაა.

ეს რამდენიმე წელიწადია, კახეთში მოქმედობს ორი საფილოქსერო დასი, რომლებმაც ხალხი რამოდენამდე შეაჩვიეს ვაზის ობის წამლობას. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ გარემოებით საუცხოვოდ ისარგებლეს ჩვენებურმა ვაჭრებმა, მარამ ისარგებლეს ისე, რომ შეიძლება სულ გამოასალმონ ჩვენი გლეხ-კაცობა თავიანთ ვენახებს. ვაზის ობის წამლის უმთავრეს ელემენტს შაბიამანი შეადგენს (мѣдный купаросъ), რომელიც ტფილისში ფუთი ღირს არა უმცირესს 5 მან. 10 კაპ., მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ზოგი აქაური ვაჭარი ფუთს შაბიამანს ტფილისიდან მოტანილს, ჰყიდის 4 მან. 4—50 კაპ. ეს როგორ შეიძლებაო? იკითხავთ. სულ ადვილად. ეს ვაჟბატონები შაბიამანის მაგიერ აჯასპსა (желѣзный купаросъ) ჰყიდიან, რომელიც იაფადაც ჯდება და ვაზსაც ძრიელ ავნებს. რა თქმა უნდა, გლეხ-კაცობა რომ ჰხედავს, ერთ ადგილას 4 მან. იყიდება ფუთი შაბიამანი და მეორე ადგილას 6 მან., პირველს არჩევს, რადგან იმის ანგარიშში არ შედის, რომელი კარგია და რომელი ცუდი. ამის გამო აქაური ხალხი თუ სულ არ გამოეთხოვა თავის ვენახებს, მის წამლობაზე მაინც ხელს აიღებს, რადგან წამლის მასალის უვარგისობას როდი მიაწერს თავის შრომისა და ხარჯის უნაყოფობას, არამედ თვით წამლობის სარგებლობაზე აიღებს ეჭვს, რომლის სარგებლობაზე ჯერ კიდევ ვერ არის კარგად დარწმუნებული. ტფილისის საფილოქსერო კომიტეტი, რომელმაც ასი ათასობით ფული დაჰხარჯა თავის დასებზე, რომელთაც ჯერ-ჯერობით მარტო ის ნაყოფი მოიტანეს, რომ ხალხი შეაჩვიეს ვაზის ობისა და ნაცრის წამლობას, უთუოდ ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და ეცდება გაიძვერა ვაჭრები სპილენძის შაბიამანის მაგიერ სხვა რასმეს არ ჰყიდდნენ ვენახების საწამლოდ.

„ივერიის" მკითხველებს გაუკვირდებათ, როცა გაიგებენ, რომ მთელს თელავის მაზრაში, გარდა თვით თელავისა, არსად ხალხისთვის წიგნთ-სამკითხველო არ მოიპოვება. ჩვენ, კახელებს, არ გვეჭირვება ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და არც სამკითხველოები; ჩვენი საქმე ღვინოა და მარტო ღვინო, ვენაცვალეთ მის გამჩენს. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ს. ყვარლის რამდენმამე მოღვაწემ გვიღალატა, უღალატა ჩვენს მამა-პაპეულს ჩვეულებას და განიზრახეს სახალხო წიგნთ-სამკითხველოს დაარსება და კიდეც შუამდგომლობენ ამ საქმის განსახორციელებლად, საცა ჯერ არს.

ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ყვარლის პატივცემულ მოღვაწეებს ვუსურვოთ იმათის განზრახვის ადრე და მალე განხორციელება და წარმატება; ვისურვოთ აგრეთვე, რომ სხვა სოფლებიც ყვარლის მაგალითს მიჰყვნენ.

L.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

აი, რას ამბობს „Русская Жизнь"-ი თ. თუმანიშვილის სიტყვის გამო, რო ერობის შესახებ: „ჩვენ არაფერი არა გვაქვს მის წინააღმდეგ, რომ კავკასიაში ერობა დაარსდეს, თუმც რომ ეს ერობა არ იქნება შემოღებული მისათვის, რომ ერთმა წოდებამ იუფლოს მეორეზედ, ან და მისათვის, რომ მთელი ქვეყნის ინტერესები ერთმა წოდებამ ჩაიგდო ხელში.

თ-დმა თუმანიშვილმა, თუმცა წინა განზრახვით-კი არა, მაგრამ თამამად დაახასიათა ძირეულ დედააზრ ახალის ერობისა. ასეთს სასტიკს კრიტიკას ერობისას ჯერ ჩვენ არ შევხვედრივართ აზნაურობის მხრით. აი, წაიკითხეთ უკანასკნელი სიტყვები თ. თუმანიშვილისა.

> საჭიროა ვისარგებლოთ დღევანდელის დღით, როდესაც სახელმწიფო ცხოვრებაში პირველი ადგილი დათმობილი აქვს აზნაურობას. აზნაურობამ ამით უნდა ისარგებლოს, რათა ამ გვარად აღადგინოს თვისი ეკონომიური მდგომარეობა (!!), ეს მომენტი რომ დაჰკარგოს აზნაურობამ, მაშინ იგი დიდად შესცოდებს წინაშე შთამომავლობის და ქვეყნისა. მაგრამ მთელი ერობა აძლევს აზნაურობას დიდს უპირატესობას ადგილობრივ მმართველობაში, და საგანი ერობის შესახებ არის განსაკუთრებით სააზნაურო კითხვა. იგი უთუოდ აზნაურობისაგან უნდა იყოს აღძრული".

აი, რისთვის დასჭირებია ერობა კავკასიის აზნაურობას! იგი მისათვის დასჭირებია მას, რომ „სააზნაურო" ერობის შემწეობით ისარგებლოს შემთხვევით და ერობა მოიხმაროს აზნაურთა ეკონომიურის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, თორემ დიდი პასუხის გება მოელის, როგორც ვფიქრობთ... წინაშე შთამომავლობისა და ქვეყნისა!

მალე შემოღებისათვის «აზნაურთა» ერობისა, ტფილისის თავად-აზნაურობამ მიანდო პროექტის შემუშავება კომისიას, რომელიც მათის წინამძღოლებიდამ შესდგება დახმარებით თავ. თუმანიშვილისა.

**

რუსეთის ესპერანტისტებმა, ესე იგი იმ საერთაშორისო ენის ცოდნის მიმდევრებმა, რომელიც მოიგონა დოქტორმა ზამენგოფმა, მიჰმართეს ლევ ტოლსტოის, რომ აღმოეჩინა იმათთვის შემწეობა და თავისი აზრი გამოეთქვა ამ საერთაშორისო ენის შესახებ. 27 აპრილს ამა წლისას გრაფმა მისწერა პასუხი, რომლითაც სრული თანაგრძნობა გამოუცხადა საერთოშორისო ენის შემოღებას. ეს წერილი დაბეჭდილია „Недѣля"-ში. აი რასა სწერს ლ. ტოლსტოი.

> „მოწყალეო ხელმწიფენო! მე მივიღე თქვენი წერილი და ვეცდები შეძლებისადა გვარად შევასრულო თქვენი სურვილი, ესე იგი გამოვსთქვა ჩემი აზრი საერთაშორისო ენის შესახებ.
>
> „ყოველს იჭვს გარეშეა, რომ კაცობრიობა მიისწრაფება შესდგეს ერთ სამწყსოდ. ერთის გონიერებისა და სიყვარულის წარმომადგენელის მწყემსის მეთაურობისა ქვეშე და რომ ერთს უმახლობელეს საფეხურს ამის განსახორციელებელს შეადგენს ადამიანთაგან ურთი-ერთთა აზრის და სიტყვის გაგება, სმენა. იმისათვის, საჭიროა, ან ის, რომ ყველა ენა გაერთგვარდეს (რაიც, თუ მოხდა მოხდება ძალიან დიდის ხნის შემდეგ), ან ის, რომ ყოველის ენის ცოდნა ისე გავრცელდეს, რომ არამც თუ ყოველი თხზულება ყველა ენაზედ გადითარგმნოს, არამედ თვითეულმა იცოდეს ისე ბევრი ენა, რომ ყველას შეეძლოს ერთმანეთის ნათქვამის გაგება და შეტყობა, ან უნდა აირჩიონ ერთი რომელიმე ენა, რომელიც ყოველის ხალხისათვის სავალდებულო უნდა იქმნას შესასწავლად; ან, როგორც ვოლაპიუკისტები ჰფიქრობენ, დაარსდეს ერთი ენა და ყველამ ის შეისწავლოს. აი, ეს არის აზრი ესპერანტისტებისა. ჩემის ფიქრით, ეს უკანასკნელი აზრი სუყველაზედ უფრო გონიერია და უფრო ადვილად განსახორციელებელიც".

შემდეგ ამისა გრაფი შეეხება რა იმის გამომკვლევს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველს თითოეულს ადამიანს, რომელიც სცდილობს დაარსოს საერთაშორისო ენა და ამით შეაკავშიროს ერნი; თუ რომელ ენას და რა მიზეზით უფრო მეტი ღირსება და უფლება აქვს გახდეს მსოფლიო ენად, თავის წერილს ამ გვარად აბოლოებს:

> „შესწავლა ესპერანტოსი და მისი გავრცელება, ეჭვი არ არის, ქრისტიანობრივი საქმეა. იგი ხელს უწყობს ღვთის მეუფების დამკვიდრებას, რაიც შეადგენს უმთავრესს და ერთად-ერთს ადამიანის დანიშნულებას".

უცხოეთი

საფრანგეთი. გაზეთებში უკვე დაბეჭდილია ზოგიერთი ცნობები საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კარნოს მოკვლის შესახებ. ლიონის ქალაქის საბჭოს დარბაზში სადილი იყო გამართული, რომელსაც კარნოც დაესწრო. სადილი გათავდა საღამოს საათის ათის ნახევარზედ, რომლის შემდეგაც წარჩინებულნი, გამოფენის კომიტეტის წევრნი და სადილზედ დამსწრენი თეატრში წავიდნენ. წინ მიდიოდა რესპუბლიკის პრეზიდენტის ეტლი. დიდ-ძალი ხალხი იყო გზაზედ შეჯგუფული და ყველანი აღტაცებით ეგებებოდნენ საყვარელს პრეზიდენტს. იმ დროს, როდესაც ეტლი ვაჭრობის სასახლეს მიუახლოვდა, ხალხიდგან განცალკევდა ერთი ყმაწვილი-კაცი ყომრალის ბლუზით, ხელში ქაღალდი ეჭირა. ხალხს ეგონა, არზა უნდა მიართვას კარნოსაო, და გზა მისცეს. იგი შეხტა ეტლის საფეხურზედ და კარნოს მკერდში ხანჯალი ჩაჰკრა. ეს სულ ერთის თვალის დახამხამებაზედ მოხდა, მკვლელი იქავე დაიჭირეს თურმე. იგი აღმოჩნდა, როგორც ვუწყით, ჯიოვანო სანტო, მილანს ახლოს დაბადებული. სანტო ძლივს ჰლაპარაკობს ფრანგულს და როცა ჰკითხეს, რად ჩაიდინე ეს შემაძრწუნებელი მკვლელობაო, პასუხი არ მისცა, ნაფიც მსაჯულთა წინაშე განვაცხადებ ყველაფერსაო.

კარნო გადაიტანეს საპრეფექტოში უსიცოცხლოდ, უძრავი, ჩამქრალი თვალებით. გადაღეღილი ჟილეტი და პერანგი სისხლში ჰქონდა მოსვრილი: მაშინვე მოიწვიეს საუკეთე-

---

სნელი ცრემლები მოასკდენ და კარგს ხანს სული ველარ ამოიღო... როცა სული მოითქვა, ერთი ამოიოხრა; ამოიოხრა და იმ ოხვრაში გამოისახა მთელი ჯოჯოხეთი, მისი შემაძრწუნებელი წამება. „ვაი, დავიწვი!—წამოიკვნესა ელენემ—ცეცხლი თანდათან ძლიერდება... ფიქრიც აღარ შემიძლიან... ახლა-კი მშვიდობით ქვეყანავ, სიცოცხლევ, ჩემო ახალგაზდობავ და ოცნებავ!.. მშვიდ..." აქ ელენემ პირჯვარი გამოისახა და შემდეგ უკანასკნელის მისის ამოოხვრისა, მშვენიერ ელენეს ოთახში ჩამოვარდა სამარის სიჩუმე; მხოლოდ საათმა, ერთად-ერთმა მომაკვდავ ელენეს დარაჯმა, თორმეტჯერ შემოჰკრა...

X

ეს მესამე ღამეა მას აქეთ, რაც სამსონ უძალოშვილმა დაასაფლავა თავისი ცოლი—ელენე... მძიმე შავებით შემოსილი სამსონი ზის თავის საწოლ ოთახში სტოლთან და სანთელთან ელენეს ქაღალდებსა და წერილებს არჩევს, ათვალიერებს. ყოველს წამში, როგორც ჯარის კაცი, გულ-გაგმირული მტრის ტყვიით, ბრძოლის ველზედ უპატრონოდ მიტოვებული—მძიმედ და საზარლად ოხრავს და თან მსხვილ-მსხვილ ცრემლებს აგორებს ჩაწითლებულ თვალებიდამ... სამარის მსგავს მყუდროებას მოუცავს სუყველაფერი, მხოლოდ კედლის საათი წყობით, თანასწორად მუშაობს და, თითქო, სიცოცხლის დარაჯი იყოს—აფრთხობს დუმილს სიკვდილის მოციქულს... საათი გუშინაც გუშინ-წინაც და მას ზევითაც, სწორედ ამ ნაირად წყობით, აუჩქარებლად მუშაობდა. ის არავითარს დანაკლისს არ ჰხედავს ელენეს სიკვდილში,—თითქო ელენეს არავითარი ადგილი არ ჰქონოდეს ცხოვრებაში... მისთვის სულ ერთია: ის იმუშავებს ცოცხლებისათვის და მათ ჩაუთვლის წამებს ცხოვრებისას; მაგან დაუთვალა ელენეს ის წამები და ეგვე დაუთვლის მათ დარჩენილ სამსონს!.,

XI

„საბრალო ელენევ!—ჰფიქრობდა ამასობაში სამსონი,—ნუ დამწყევლი, ჩემო ანგელოზო! მართალია, მე ვარ შენი მკვლელი? მაპატიე, შემინდე, შემიწყალე!.. ყოველი ზომა მივიღე გამომესყიდა ჩემი ცოდვა; არაფერი არ დამიზოგავს—მომეპოებია სვინიდისის შენდობა; ყოველივე სამსხვერპლოდ დავდევი, რომ დაგხმარებოდი, მომერჩინე!.. მაგრამ არა ეშველა-რა,—ყოველივე ამაო შეიქმნა ჩემთვის!.. მეცნიერებამ ვერ აღმოგიჩინა გამკურნებელი წყარო... ეჰ, არა მწამს-რა იმის შემდეგ!.. უბედურების წინ დღეებში არ იყო—მარწმუნებდა ექიმი, რომ ელენე ერთს წელიწადს კიდევ იცოცხლებსო?.. მომატყუა ექიმმა! მაგრამ იქნება გულის-წმინდით მითხრა? იქნება თვითონაც ისე ჰფიქრობდა და შესცდა?.. შესცდა! რა საშინელი სიტყვაა ეს სიტყვა! როგორც ძლილი სულსა და გონებას გიღრნის, გიცამტვერებს ეს სიტყვა! როგორც წურბელა—ჰსწოვს გულიდამ სისხლს და ართმევს მას სიცოცხლის ძალას! როგორც შხამი, სისხლში უხვად შერეული,—ანგრევს და ანადგურებს კაცის სიცოცხლეს... „შეაცდინა", „შეაცდინე", „შევაცდინე"—აი, სათავე ყოველივე ბოროტებისა და უბედურებისა!.. სწორედ აქ მოიპოვა სათავე ჩემმა საჭირ-ბოროტო ცხოვრებამაც!.."

XII

ამ ფიქრებში იყო გართული სამსონი, როდესაც მან ქაღალდებში გახვეული სურათი ხელში აიღო. ეს სურათი ელენესი იყო. ის გვისახავდა ელენეს საქორწილო ტანისამოსით მორთულს, ვარდ-ყვავილებით მოკაზმულს, ვით ვარდს, მშვენიერს, სიცოცხლით სავსეს!.. შავი დიდრონი თვალები, ჩაფიქრებულნი, სადღაც შორს გაესეირნებია; ლამაზს მოხდენილ ბაგეზე გაურკვეველი, თითქო სინანულის გამომსახველი, ღიმილი გარდაჰფენოდა... სამსონმა მძლავრად ამოიოხრა და თვალები აეცრემლა. გადასწვდა იქვე მეორე სურათს და შედარება დაუწყო მათ. ეს მეორე სურათიც ისევ ელენეს გვისახავდა, იმავ საქორწილო ტანისამოსით მორთულს, იმგვარივე ვარდ-ყვავილებით მოკაზმულს, მხოლოდ გულ-ხელ დაკრეფილს კუბოში მდებარეს, გაყვითლებულს და თვალებ-ჩაცვივნულს... მისს ფართო შუბლზე, როგორც ორი წურბელი, გადაწმარნოდა ორი შავი წარბი და დანაღვლებული ჩასჩერებოდნენ იმ ცარიელ სიღრმეს, სადაც წინედ სიცოცხლით სავსე თვალები მეფობდენ... რა მომაკვდინებელი განსხვავებაა, ღმერთო ჩემო, ამ ორ სურათში? რა მშვენიერი და უმანკო მივიბარე—და რა დამახინჯებული მივაბარე გულ-ბნელ სამარეს!.. წამოიძახა სამსონმა და სურათები ხელიდამ გაჰყარა... თითქო შემკრთალმა არ წამოიძახილით,—კედლის საათმა თორმეტჯერ შემოჰკრა... (ცოტახნის შემდეგ ქაღალდების ძებნაში მისს ხელს მოხვდა პატარა წიგნაკი, რომელსაც ზედ ელენეს ხელით ეწერა: „ჩემი თავ-გარდასავალი". სამსონი გაფითრდა, ხელები აუკანკალდა და თვალები დაუბნელდა... ცოტახნის შემდეგ წიგნაკი სიფრთხილით გადაშალა; ისეთმა შიშის ზარმა შებორკა მთელი მისი არსება, რომ გეგონებოდა: სამსონს ეშინიან—წიგნაკიდამ სიკვდილი არ ამოვიდეს და არ შთამთქასო... „აი, სად უნდა ამოვიკითხო სვინიდისის მსჯავრი ჩემს შესახებ! აი, სად უნდა მოვისმინო წყევლა და კრულვა! აი, სად უნდა შევსვა უკანასკნელი შრომა-ნაღველი!"—იფიქრა სამსონმა... წიგნაკიდამ გადმოვარდა იის თაიგული და ფურცელ-ფურცლად დაიპნა!.. ეს ის ია იყო, რომელიც ელენეს გულის სავაგლახო ცეცხლმა დასწვა, ეს ის ია იყო, რომელიც მოწმობდა „თავ-გადასავალის" სიმართლეს!.. სამსონმა კითხვა დაიწყო. როდესაც წიგნაკიდამ თვისი სიმართლე ამოიკითხა და დაამთავრა ელენეს ამ სიტყვებით! „ზნეობითადაც და ხორციელადაც ჩემისთვის მკვლელი მე ვარ და არა სხვა"—სამსონმა წიგნაკი ხელიდამ გააგდო და დაიყვირა! „არა! სტყუი ელენევ! მე ვარ დამნაშავე, მე ვარ შენი მკვლელი" და მოჰყვა საშინელ მწარე ქვითინს... ვით მომტირალმა, ჭირისუფლის მანუგეშებელმა, იმის ყრუ ქვითინს ხმა მოსცა ქარმა საშინელის ზუზუნით და შემდეგ იმავ ზუზუნით ჩაუბრბინა მიძინებულ ხეობას.

გრ. აბაშიძე

სო ექიმები, რომელთაც იარა გაუსინჯეს. ამ დროს კარნო გონებაზედ მოვიდა და შესძახა: „ღმერთო! როგორ ვიტანჯებით“. ღამის 12 საათსა და 45 წუთზედ კარნო გარდაიცვალა. იმისმა სიკვდილმა დიდად ააღელვა ლიონის მცხოვრებნი და კინაღამ მკვლელი ხალხმა ლუკმა-ლუკმა დაჰგლიჯა. ჩირაღდანი მაშინვე ჩააქრეს. ხალხში ისმოდა ქვითინი დედაკაცებისა და კაცებისა. ორმოცდა-ათი ათასამდე კაცი მიაწყდა იტალიის საელჩოს, რომელსაც უკვე ჯარი ერტყა. ლიონის მთავრობამ სთხოვა ელჩს, გერბი ჩამოიღეთ საელჩოდგან და ბაირაღი ჩამოხსენითი. პირველში ელჩი უარზედ იდგა, მაგრამ შემდეგ ბაირაღი ჩამოუშვეს და გერბიც აიღეს. ხანჯალი, რომლითაც ბოროტმა ხელმა გული გაუპო კარნოს, სულ ექვსის გოჯის სიგრძისაა, ბრინჯაოს დაოქროვებული ტარი აქვს, ხავერდის ქარქაში. ეს უბედურება მით უფრო ძნელი ასატანია კარნოს ოჯახისათვის, რომ განსვენებულის პრეზიდენტის სიკვდილის წინა დღეს სასამართლოში გამოკიდებული იყო განცხადება, რომ კარნოს შვილი კლავდია სენატორ შირისის ქალიშვილს ირთავსო.

კარნოს სასიკვდილოდ დაჭრის შემდეგ ლიონის პრეფექტი თეატრში წავიდა, რომ ეს სამწუხარო ამბავი გაეზიარებინა იქ მყოფ საზოგადოებისათვის, რომელიც კარნოს მისვლას მოუთმენლად ელოდდა. როდესაც პრეფექტი შევიდა იმ ლოჟაში, რომელიც კარნოსათვის იყო დამზადებული, ყველანი ფეხზედ წამოდგნენ. „ბატონებო, სთქვა პრეფექტმა: რესპუბლიკის პრეზიდენტი კაცის მკვლელის მსხვერპლი შეიქმნა.“ საზოგადოება გაბრაზდა და დაიწყეს ძახილი, შური უნდა ვიძიოთო. ყველანი თეატრიდგან მწუხარენი და დიდად დანაღვლიანებულნი გავიდნენ.

ბევრმა გაკვირვებით განაცხადა პარიზში, რომ კარნოს ხომ საიდუმლო პოლიციის მოხელენი დასდევდნენ თან და იმათ როგორ არ დაიხსნეს კაცის მკვლელის ხელიდგანაო. დეპუტატმა შოდემ, რომელიც კარნოს ახლდა, განაცხადა: იმ დროს, როდესაც კარნო ეტლით თეატრში მიდიოდა, ხალხი ისეთის აღტაცებით ეგებებოდა, რომ კარნომ თავისს მხლებელს ცხენოსანს აფიცერს უთხრა, „ცოტა უკან მიდექით! ადგილი მომეცით, რომ ხელი ჩამოვართვა ამ კეთილს მოქალაქეებსაო“. აფიცერმა ცხენი შეაჩერა. ხალხს გზა მიეცა, მისცვივდნენ ეტლს და ხელს ართმევდნენ კარნოს. მკვლელმა ხელი ჩამოართვა, შემდეგ სწრაფად იძრო ხანჯალი და მკერდში ჩაჰკრაო*.

წერილი რედაქციის მიმართ

ბა-ნმა მიხეილ ზავლეს ძემ ჯაფარიძემ, უიზლიარში მცხოვრებმა, კაკავის ქართულ სკოლას შემოსწირა სასწავლებლის ხთი სკამი ოთხმოც-და-ექვს მანეთათ ღირებული, რისთვისაც უგულითადეს მადლობას უძღვნის სკოლის სამზრუნველო.

სასწავლებლის გამგე ტ. კახიძე

2894 წ.

შემოწირულებანი

ჩვენ მოგვივიდა ბ-ნის ერეკლე მახარაძისაგან მომავალ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ შეკრებილი ყარსის ქართველთა შორის 46 მ. და 10 შაური. აქვე ვბეჭდავთ შემწირველთა სიასაც.

მღვდელი ზაქარია ლევანიშვილი 3 მან., ალექსანდრე ზალდასტანიშვილი 3 მან., ზაალ ჯანდიერი 2 მან., ერეკლე ბაქრაძე 2 მან., ლევან კაპანაძე 3 მან., ეგნატე ფარანაშვილი 1 მან., გიორგი წითლიძე 3 მან., ვლადიმერ იმერლიშვილი 1 მ., იროდიონ ხოსეტაშვილი 50 კ., ესტატე ზალდასტანიშვილი 1 მან., დ. ქარუმიძე 50 კაპ. ჟდანოვიჩი ალექსი 1 მან., პარმენ სიმონას ძე მოწენიძე 50 კაპ., დიმიტრი მიქელაძე 3 მან., ი იეზოვი 2 მან., ქურცივიძე 1 მან., დიმიტრი კიკნაძე 5 მან., ნიკოლოოზ შლენგოვსკი 3 მან., ერისთავი 2 მან., არჩილ ციციშვილი 1 მან., მიხეილ დიმიტრის ძე კოშლაძე 5 მან., უცნობისაგან 2 მან., თეოდორე ცარუკოვი 1 მან.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივნისი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7_{,49}$	$7_{,51}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	149¼	150½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	— ,,
—მეორისა	— ,,	— ,,	— ,,
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	190
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	101½	— ,,	— ,,
5%	— ,,	101	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	101½	— ,,
5%.	100½	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	99¾	— ,,	— ,,

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—„)

მივიღებ ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:

ვხატავ ფაიფურზე და ატლასზე. პორტრეტი პორტფელზე—10 შაური.

აგრეთვე მაქვს თამარ მეფის სურათი ატლასზედ დახატული ბალიშისთვის—3 მ., ლამპარის აბაჟური ექვსის ცნობილ ქართველ მწერლის სურათით 3 მ., აბრეშუმის ხელსახოცები მწერალთა სურათებით: 3 აბაზი 1 მ., ვისაც სურს თავისი სურათი დავახატვინოს ამგვარს საგნებზედ, შეუძლია მობრძანდეს სურათის გადასაღებად ან სურათი გამოგვიგზავნონ.

ვისაც ფოტოგრაფიის შესწავლა სურს, ქალსაც და კაცსაც, შეუძლია მომმართონ ამ ადრესით: ტფილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36, ქ-ნს ა. პ. როდიონოვს.

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული შემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

„ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოოზის ქუჩაზე, 21.

დედა-ენა

დაიბეჭდა მეათედ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ისყიდება მისს მაღაზიაში ყდაში დაკაზმული ორ-აბაზად. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს, ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობათ ექვსს შაურად და ორ კაპეიკად 32 კაპ. უყდოთ ეს წიგნი აღარ იყიდება. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ანბანის ბოლოში ჩამატებულია პატარა ლოცვები ღვთის-მშობლის და მაცხოვრის სურათებითა და გადიდებულია ხუცური განყოფილება, რომელიც იპყრობს ხუცურს ანბანსა, ხუცურს სიტყვებსა სრულად და ქარაგმით, ფსალმუნებსა ხუცური და მხედრული ასოებით, უხსნის მასწავლებელს ადგილებსა დაბადებიდგან და იგავებს მაცხოვრისას ორივე შრიფტით და ბოლოს ფსალმუნებს მარტო ხუცურის ასოებით. დედანიც შევსებულია წვრილი ხელით, რომელიც წინედ აკლდა. საზოგადოდ ეს მეათე გამოცემა წინანდელებს აღემატება თექვსმეტი გვერდით, ფასი-კი წინანდელია დარჩენილი იმ განსხვავებით, რომ მყიდველებს ეთმობათ წიგნზედ რვა კაპეიკი წინანდელის შვიდის კაპეიკის მაგივრად.

(10—3)



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოქმედებს მოძრაობაში.

ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.

სასაპარელო ესსენცია კოლბერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამოჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

Дозволено цензурою Тифлисъ, 20-го Іюня 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.